განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
**ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
19-20 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
16. 12. 19

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ფილოლოგია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ჰუმანიტარული მეცნიერებათა ბაკალავრი 1005 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ჩოკორაია, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიკო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა 2007 წელს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია-გაერთიანების გზით, რის შემდეგაც, 2007 წლიდან ფუნქციონირებს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. აღნიშნულმა პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის #239 გადაწყვეტილება).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #1043 (31. 10. 2019) თანახმად, 2019 წლის 19 და 20 ნოემბერს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, თამარ ჩოკორაია, სოფიკო შარაბიძე.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო პროცესს, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვ.

შეხვედრის განმავლობაში განხილულ იქნა პროგრამა, მისი სტრუქტურა, შესაბამისი დოკუმენტაცია, ცალკეული სილაბუსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - გორის სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე, ძირითადად ორიენტირებულია რეგიონში მცხოვრები სტუდენტების სწავლებაზე, მათ შორის, საზღვრისპირა სოფლების, წარმომადგენლებზე. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და სასწავლო საგნებს დაემატოს ქართულ-ოსური ლიტერატურული, ფოლკლორული, ენობრივი, ეთნოგრაფიული, ისტორიული ურთიერთობები. გორის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების განხორციელების ფართო და უნიკალური რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ინტელექტუალური და მატერიალური თვალსაზრისით.
  - მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედ სტუდენტებს, რომლებიც 2017 წელს და შემდგომ ჩაირიცხნენ, ასევე, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს განემარტოთ, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას მოქმედი კანონმდებლობით ვერ გაივლიან

ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები. ასევე, სახელწოდება და მიზნები შეეცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან მაინორ პროგრამას, ვინაიდან ამ პროგრამის ინტეგრირება საბაკალავრო საფეხურზე არ არის მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისი.

- მიზანშეწონილია, საგნებში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2 განახლდეს თემატიკა და შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- საგანში: ქართული ლიტერატურის ისტორია 4 სასწავლო კურსის მიზნებში აღნიშნულია, რომ კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი საკითხები და ჩამოთვლილია 50-60-იანი წლების ლიტერატურული თაობა, ხოლო შემდგომ - 90-იანი წლების თაობა. მიზანშეწონილია, დაემატოს 60-70-იანისა და 70-80-იანების თაობა. ასევე, დაზუსტდეს 90-იანი წლების ქართველი ავტორები.
- მიზანშეწონილია, საგანში: ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები, შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- მიზანშეწონილია, საგანში „ქართული პალეოგრაფია“, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა განახლდეს ახალი გამოცემებით.
- მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგან „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ცალკე საკითხად შეტანილ იქნას მითოსის, როგორც ჟანრის დახასიათება, შესაბამისი მითოლოგიური ტექსტების განხილვა-ანალიზით.
- სილაბუსების ნაწილში არსებობს ტექნიკური ხარვეზები. მიზანშეწონილია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.
- ფილოლოგიის ბაკალავრის კომპეტენციების შეძენის მიზნით, მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის შეტანა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში.
- საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის ყოველწლიური განახლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში.

- ელექტონული სერვისების გაუმჯობესება.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - საურველია, საგანი კომპიუტერული უნარ-ჩვევები მოდიფიცირდეს და დაემატოს ვებგვერდების, ბლოგების, და სხვა ტექსტური და ვიზუალური ინტერნეტ და ელექტრონული რესურსების შექმნის, ასევე, მასალების, ტექსტების ელექტრონული რედაქტირების პრაქტიკული და თეორიელი ნაწილი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის #239 გადაწყვეტილება).
  - 2014-18 წლებში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები:
  - საკონტაქტო საათების სასწავლო კურსში: „ქართული ლიტერატურა 1"; შეიცვალა საგნების სახელწოდებები და ეწოდა: „ქართული ლიტერატურა 1, ქართული ლიტერატურა 2, ქათული ლიტერატურა 3, ქართული ლიტერატურა 4, ქართული ლიტერატურა 5, ქართული ლიტერატურა 6.
  - სასწავლო კურსი „რუსთველოლოგია" სავალდებულო საგნებიდან გადატანილ იქნა არჩევით კურსებში
  - არჩევით საგნებს დაემატა „მწერლობა და ფოლკლორი"
  - ასევე, სტუდენტთა შეფასების სისტემა შესაბამოსობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებაში შეტანილ 2016 წლის ცვლილებებთან.

- შეიცვალა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ეროვნული გამოცდების ფარგლებში სავალდებულო მოთხოვნების სახით განისაზღვრა გამოცდა ისტორიაში.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც მიღებული ცოდნისა და უნარების შედეგად შეძლებს ქართული ფილოლოგიის დარგში საქმიანობას, ან სწავლის გაგრძელებას სწავლების შემდეგ საფეხურზე, - მაგისტრატურაში.<br>○ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნად განსაზღვრულია მეცნიერული პატიოსნების გამომუშავება.<br>○ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია |

| |
|---|
| უნივერსიტეტის მისიასთან და მიზნებთან. პროგრამის მიზნები არის მკაფიო და ადეკვატური. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია<br>○ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა<br>○ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა |

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ㅇ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სასწავლო დისციპლინების ერთობლიობა განაპირობებს სტუდენტისათვის აღნიშნულ დაგრში მნიშვნელოვანი, კომპეტენტური და თანამედროვე ცოდნის მიღებას. პროგრამა შედგება როგორც ზოგადად ჰუმანიტარული, ისე, სპეციალური ფილოლოგიური საგნებისაგან, რაც შეესაბამება თანამედროვე სწავლების სპეციფიკას.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს იმ ცოდნას, უნარების გამომუშავებას, პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას.

კურსდამთავრებულს ეცოდინება ქართული ენისა და ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ლექსიკოლოგიის, დიალექტოლოგიის, ფოლკლორის, ქართული სალიტერატურო კრიტიკის, მსოფლიო ლიტერატურის, სტილისტიკისა და ენათმეცნიერების ძირითადი საკითხების, თეორიებისა და კონცეფციები. ფილოლოგიური მეცნიერებების დარგების ურთიერთკავშირის მნიშვნელობა. ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრა შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, კვლევითი ან პრაქტიკული პროექტების შესრულება, სხვადასხვა ტიპის ენობრივი და ლიტერატურული მონაცემების შეგროვება, განმარტება და ინტერპრეტირება, ქართული ფილოლოგიისათვის დამახასიათებელი ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება. აღნიშნული შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურის საკვალიფიკაციო ჩარჩოს და თანხვედრაშია მისანიჭებელ ხარისხთან.

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, ამასთან, არის რეალისტური და, უმეტეს შემთხვევაში, თანხვედრაშია პროფესიულ მოთხოვნებთან. გორის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს სწავლის შედეგების შეფასები მექანიზმები, რაც ხორციელდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური და მოწვეული პერსონაის გამოკითხვების მიხედვით. გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში გაუმჯობესების მიზნით ცვლილებები.
  - 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ㅇ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის #224/ნ (29. 12. 2011) ბრძანების შესაბამისად. ხოლო შემდგომ, აბიტურიენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია გორის სასწავლო უნივერსიტეტში დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში.

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, არის საჯარო და ხელმისაწვდომი. განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.
-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ერთი სემესტრის ხანგრძლივობაა 19 სასწავლო კვირა. სტუდენტთა წლიური

დატვირთვა შეადგენს სემესტრში 30 კრედიტს. პროგრამა შედგება 240 კრედიტისაგან. 175 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობებს, მათ შორის, 160 კრედიტი სავალდებულო საგნებს, ხოლო არჩევით კურსებს - 15 კრედიტი. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები შეადგენს 170 კრედიტს.

- სპეციალობის სავალდებულო კურსების ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების შესახებ ცოდნის მიცემაზე.
- გორის სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე, ძირითადად ორიენტირებულია რეგიონში მცხოვრები სტუდენტების სწავლებაზე, მათ შორის, საზღვრისპირა სოფლების, წარმომადგენლებზე. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და სასწავლო საგნებს დაემატოს ქართულ-ოსური ლიტერატურული, ფოლკლორული, ენობრივი, ეთნოგრაფიული, ისტორიული ურთიერთობები. გორის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების განხორციელების ფართო და უნიკალური რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ინტელექტუალური და მატერიალური თვალსაზრისით. შესაძლებელია, შეთავაზებული იყოს მაინორ პროგრამა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში.
- გორის სასწავლო უნივერსიტეტში ძირითად სპეციალობასთან ერთად ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შესაძლებელია აირჩიოს მეორე სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფისს სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ

პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს ყურადღება გამახვილდა, რომ კურსდამთავრებულები და სტუდენტები ირჩევდნენ ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიან მაინორ პროგრამას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა მოიძია ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის შესახებ. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 89. 12 მუხლის მიხედვით, მასწავლების მომზადების ერთწლიანი პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ბაკალავრიატის საფეხურის დასრულებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ჩატარებული შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდგომ. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტებმა ვიზიტის დროს განუმარტეს სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რომ უნივერსიტეტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, რომლებიც ჩაირიცხნენ 2017 წლიდან და შემდგომ, დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას ვერ შესთავაზებენ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ისინი იცნობენ მიმდინარე საკანონმდებლო რეგულაციებს და 2017 წლიდან და შემდგომ ჩარიცხულ სტუდენტებს აღარ შესთავაზებენ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან მაინორ პროგრამას, თუმცა, მათი ინფორმაციით, იგეგმება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და შესაძლებელი იქნება 240 კრედიტში საბაკალავრო პროგრამაში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი მაინორ პროგრამის ინტეგრირება. ექსპერტთა აზრით, მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედ სტუდენტებს, რომლებიც 2017 წელს და შემდგომ ჩაირიცხნენ, ასევე, დამსაქმებლებს და

| |
|---|
| პოტენციურ დამსაქმებლებს განემარტოთ, რომ მასწავლებლის მომზადების 60 რედიტიან პროგრამას მოქმედი კანონმდებლობით ვერ გაივლიან ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები. ასევე, სახელწოდება და მიზნები შეეცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან მაინორ პროგრამას, ვინაიდან ამ პროგრამის ინტეგრირება საბაკალავრო საფეხურზე არ არის მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა<br>○ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br>○ გორის სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე, ძირითადად ორიენტირებულია რეგიონში მცხოვრები სტუდენტების სწავლებაზე, მათ შორის, საზღვრისპირა სოფლების, წარმომადგენლებზე. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და სასწავლო საგნებს დაემატოს ქართულ-ოსური ლიტერატურული, ფოლკლორული, ენობრივი, ეთნოგრაფიული, ისტორიული |

ურთიერთობები. გორის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების განხორციელების ფართო და უნიკალური რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ინტელექტუალური და მატერიალური თვალსაზრისით.

- მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედ სტუდენტებს, რომლებიც 2017 წელს და შემდგომ ჩაირიცხნენ, ასევე, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს განემარტოთ, რომ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას მოქმედი კანონმდებლობით ვერ გაივლიან ბაკალავრიატის საფეხურის სსტუდენტები. ასევე, სახელწოდება და მიზნები შეეცვალოს მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან მაინორ პროგრამას, ვინაიდან ამ პროგრამის ინტეგრირება საბაკალავრო საფეხურზე არ არის მიმდინარე კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები ორიენტირებულია ბაკალავრისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და უნარების გამომუშავებაზე.
- სავალდებულო საწავლო კურსებია: ფილოსოფიის შესავალი; ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი I; შესავალი; ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი II; შესავალი; ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი III; შესავალი; ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი IV; წერითი და ზეპირი კომუნიკაციები; კომპიუტერული უნარ-ჩვევები; ლიტმცოდნეობის შესავალი; შესავალი ქართულ ფილოლოგიაში; ენათმეცნიერების შესავალი; მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია; საქართველოს ისტორია I; საქართველოს ისტორია II; ქართული ენა 1; ქართული ენა 2; ქართული ენა 3; ქართული ენა 4; ქართული ლიტერატურის ისტორია 1; ქართული ლიტერატურის ისტორია 2; ქართული ლიტერატურის ისტორია 3; ქართული ლიტერატურის ისტორია 4; ქართული ფოლკლორი; მსოფლიო ლიტერატურის ისტორია; ლექსიკოლოგია; ძველი ქართული ენა; დიალექტოლოგია; ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია; სტილისტიკა; ზოგადი ენათმეცნიერება; ლიტერატურისს თეორია.
- სასწავლო კურსებში შედის სპეცალობის არჩევითი კურსები: საბავშვო ლიტერატურა, ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები, მწერლობა და ფოლკლორი, რუსთველოლოგია, ქართველური ენები (ზანური),

პალეოგრაფია.

- სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მეორე, მაინორ სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში. საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები შეადგენს 5 კრედიტს.
- ექსპერტთა აზრით, საგანთა განაწილება ძირითადად, შეესაბამება ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. ექსპერტთა ჯგუფს აქვს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა პროგრამის განვითარებასთან და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით:
- მიზანშეწონილია, საგნებში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2 განახლდეს თემატიკა და შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- მიზანშეწონილია, საგანში: ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები, შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- მიზანშეწონილია, საგანში „ქართული პალეოგრაფია“, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა განახლდეს ახალი გამოცემებით.
- საგანში: ქართული ლიტერატურის ისტორია 4 სასწავლო კურსის მიზნებში აღნიშნულია, რომ კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი საკითხები და ჩამოთვლილია 50-60-იანი წლების ლიტერატურული თაობა, ხოლო შემდგომ - 90-იანი წლების თაობა. მიზანშეწონილია, დაემატოს 60-70-იანისა და 70-80-იანების თაობა. ასევე, დაზუსტდეს 90-იანი წლების ქართველი ავტორები.
- საურველია, საგანი კომპიუტერული უნარ-ჩვევები მოდიფიცირდეს და დაემატოს ვებგვერდების, ბლოგების, და სხვა ტექსტური და ვიზუალური ინტერნეტ და ელექტრონული რესურსების შექმნის, ასევე, მასალების, ტექსტების ელექტრონული რედაქტირების პრაქტიკული და თეორიელი ნაწილი.
- მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგან „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ცალკე საკითხად შეტანილ იქნას მითოსის, როგორც ჟანრის დახასიათება, შესაბამისი მითოლოგიური ტექსტების განხილვა-ანალიზით.
- სილაბუსების ნაწილში არსებობს ტექნიკური ხარვეზები. მიზანშეწონილია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, გამოუმუშაოს

სტუდენტს მეცნიერული პატიოსნება. ამასთან, პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. ასევე, პროგრამის ფარგლებში არ არის განსაზღვრული აკადემიური წერის და ან არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრინციპები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2014 წლის აკრედიტაციის ექსპერტები სასურველ რჩევებში მიუთითებენ საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას არჩევითობის პრონციპით, 10 კრედიტის ფარგლებში. სხვადასხვა სავალდებულო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ევალებათ მოამზადონ რეფერატები, საკურსო ნაშრომები/პროექტები, თუმცა აღნიშნული რეფერატები/საკურსო ნაშრომები სრულად ვერ ასახავს საკვალიფიკაციო ნაშრომის კომპეტენციებს. 2019 წლის ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ფილოლოგიის ბაკალავრის კომპეტენციების შეძენის მიზნით, მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის შეტანა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასსწავლო უნივერსიტეტის მისია
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

- მიზანშეწონილია, საგნებში: ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 1 და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია 2 განახლდეს თემატიკა და შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- საგანში: ქართული ლიტერატურის ისტორია 4 სასწავლო კურსის მიზნებში აღნიშნულია, რომ კურსის მიზანია, სტუდენტებს შეასწავლოს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ძირითადი საკითხები და ჩამოთვლილია 50-60-იანი წლების ლიტერატურული თაობა, ხოლო შემდგომ - 90-იანი წლების თაობა. მიზანშეწონილია, დაემატოს 60-70-იანისა და 70-80-იანების თაობა. ასევე, დაზუსტდეს 90-იანი წლების ქართველი ავტორები.
- მიზანშეწონილია, საგანში: ქართულ-ევროპული ლიტერატურული ურთიერთობები, შეივსოს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით.
- მიზანშეწონილია, საგანში „ქართული პალეოგრაფია“, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა განახლდეს ახალი გამოცემებით.
- მიზანშეწონილია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგან „ქართული ფოლკლორის“ სალექციო კურსში ცალკე საკითხად შეტანილ იქნას მითოსის, როგორც ჟანრის დახასიათება, შესაბამისი მითოლოგიური ტექსტების განხილვა-ანალიზით.
- სილაბუსების ნაწილში არსებობს ტექნიკური ხარვეზები. მიზანშეწონილია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.
- ფილოლოგიის ბაკალავრის კომპეტენციების შეძენის მიზნით, მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის შეტანა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საგანი კომპიუტერული უნარ-ჩვევები მოდიფიცირდეს და დაემატოს ვებგვერდების, ბლოგების, და სხვა ტექსტური და ვიზუალური ინტერნეტ და ელექტრონული რესურსების შექმნის, ასევე, მასალების, ტექსტების ელექტრონული რედაქტირების პრაქტიკული და თეორიელი ნაწილი.

| |
|---|
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და მისი კომპონენები ძირითადად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სასწავლო კურსებში ძირითადად ასახულია ქართული ფილოლოგიის ბაკალავრისათვის |

აუცილებელი ყველა დარგობრივი და საკვანძო საკითხი. ასევე, სხვადასხვა სავალდებულო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ევალებათ შეასრულონ საკურსო ნაშრომი/პროექტი დარგზე ორიენტირებულ სხვადასხვა საკითხზე.

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტში, მათ მონაწილეობას კათედრებთან და სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში. სტუდენტები მონაწილეობენ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს სტუდენტთა კვლევითი კომპეტენციების გამომუშვებას.
- სტუდენტების ტრანსფერული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება ხდება როგორც კურიკულუმში შემავალი აქტივობებით, ისე კურიკულუმისგან დამოუკიდებელი ინიციატივებით, როგორებიცაა ლიტერატურული, ინტელექტუალური და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობა უნივერსიტეტის მხრიდან. მათ შორის, გორის უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა სამეცნეირო კონფერენციები, სადაც ბაკალავრიატის სტუდენტებიც მონაწილეობენ. გორის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლიტერატურული კაფე, სადაც სტუდენტების თანამონაწილეობით ხდება ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა და სხვ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

ამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოიყენება სწავლა-სწავლების განსხვავებული მეთოდეიბი და აქტივობები, რაც, მთლიანობაში, განაპირობებს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას.
- პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია: სალექციო, ჯგუფში მუშობის, პრაქტიკული მუშობის, დემონსტრირების, წიგნზე მუშაობის, დისკუსიისა და სხვა მეთოდები და აქტივობები. აღნიშნული მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგებს, ბაკალავრის კვალიფიკაციისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასსწავლო უნივერსიტეტის მისია
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების

შესაბამისად. აღნიშნული წესი ასახულია გორის გორის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

- სტუდენტთა შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პრორგამაში სხვადასხვა საგანში, საგნის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს სხვადასხვა სახის შეფასება.
- სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. მოქმედებს სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასსწავლო უნივერსიტეტის მისია
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების | | X | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ადეკვატურობა | | | | |

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობა რეგულირებულია უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტებით.<br>○ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად, მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით წერითი ქვიზებს დაემატა ზეპირი ქვიზები. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს აქტიური თანამშრომლობა აქვთ ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.<br>○ სემესტრის დაწყებამდე ადმინისტრაციის თანამშრომელი და პროგრამის ხელმძღვანელი რამდენჯერმე ხვდებიან სტუდენტებს, უწევენ კონსულტირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. სტუდენტების თქმით, სავალდებულო კურსებს ადმინისტრაციის თანამშრომელი ურჩევს და შემდგომ, დარჩენილი კრედიტების ფარგლებში სტუდენტები უკვე თავად ირჩევენ არჩევით კურსებს. ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული აღნიშნულ საქმიანობაში და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად ეხმარება მათ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული |

ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში. ასევე, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გარდა ადმინისიტრაციისა, მათ აქტიურ დახმარებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული ყველა პროფესორი, თუ მოწვეული მასწავლებელი.

- ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისადან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ, თვალი ადევნოს თავის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს.
- სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, და სტუდენტები საკმაოდ ხშირად სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებით.
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი საკმაოდ ხშირად მართავს კონფერენციებს და ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას ზემოაღნიშნულში, ასევე, სტუდენტები მონაწილეობენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გამართულ კონფერენციებშიც. აღნიშნული სტუდენტური აქტივობები მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ლიტერატურული კაფე, სადაც ხშირად იმართება საჯარო ლექციები და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ლექციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.
- უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებების სახით. ასევე უზრუნველყოფს პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი გაცვლითი პროგრამებით, თუმცა ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ფლობენ. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან იმისათვის, რომ სტუდენტებმა მაქსიმალურად ისარგებლონ უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული განვითარების შესაძლებლობებით, საჭიროა გაანალიზდეს სტუდენტთა სურვილის ნაკლებობა და განისაზღვროს წახალისების მექანიზმები.

| |
|---|
| ○ ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა ერთ-ერთ გასაუბჯობესებელ მხარედ დაასახელეს პრაქტიკული ელემენტების ნაკლებობა სასწავლო კურსების ფარგლებში. მათ სრულად აქვთ გააზრებული თეორიული ცოდნის მიღების საჭიროება, თუმცა ასევე მიიჩნევენ, რომ საჭიროა მეტი პრაქტიკული უნარების განვითარება<br>○ ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში და კერძოდ, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო. პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიონალიზმი და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულება მათ დაასახელეს, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი უნივერსიტეტის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან;<br>○ ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან;<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ სტუდენტების გამოკითხვის შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | ამისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალუ რი მუშაობა | X | | | |

### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
| --- |
| - პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“ და არის პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის დატვირთვის სქემა და რეალური დატვირთვა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი და მათი საერთო რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანმდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით, ხოლო მოწვეული |

| |
|---|
| სპეციალისტების პროგრამაში ჩართვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით.<br>○ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. მისი ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით ,,სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ".<br>○ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ( 2014 წლის 19 ივლისის N 09-93).<br>○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; |

- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს N 09-18 23.03.2018 დადგენილება).
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- დებულება ,, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ" (სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N 09-13 23.03. 2018).
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. აღნიშნული შეფასება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას; სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების წარმოების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას, კვლევითი საქმიანობის უწყვეტ განვითარებას, სასწავლო პროცესში კვლევების ინტეგრაციას. სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები - ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო პროექტების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსება, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.
-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-22 დადგენილება);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი (სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-54 დადგენილება);
- სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი (სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-15 დადგენილება);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);
- სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება);
- პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **მატერიალური რესურსი** |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვისა და სხვა აქტივობებისათვის გათვალისწინებულია თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური რესურსით - პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ტექნიკთა და სხვა მოწყობილობებით |

აღჭურვილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია 4 კორპუსში, მათგან სამში - წიგნსაცავით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები და ოთახები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომპიუტერებით, პრინტერებით, ქსეროქსებით, სკანერებით) და ინტერნეტით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - 307 826 ერთეულს მოიცავს, რაც აღრიცხულია საინვენტარო წიგნებში. ბიბლიოთეკაში არსებობს სრულყოფილი ანბანური და სისტემური კატალოგი, ასევე ელექტრონული სახით (ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა "Openbiblio"). ბიბლიოთეკაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს ემსახურება კომპეტენტური პერსონალი.

- დარგობრივი სიახლეებისა და პროგრამის პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით, საბიბლიოთეკო ფონდი რეგულარულად მდიდრდება პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით.
- ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმებით უზრუნველყოფილია, დარგობრივი სიახლეებისა და პროგრამის პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით, საბიბლიოთეკო ფონდის რეგულარულად განახლება/გამდიდრება პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით.
- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
- სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შესაბამისი კომპიუტერული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ლაბორატორიები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და არაწიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურასთან;
- ,,სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-65 დადგენილება;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის ყოველწლიური განახლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში.
- ელექტონული სერვისების გაუმჯობესება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს

| |
|---|
| სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. |

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; უსდ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება #09-36; 27.12.2018;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი; ფაკულტეტის გადაწყვეტილება # 13; 02.11.2018;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 17 აპრილის #2-65 ბრძანება;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-62 დადგენილება.
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციული სამსახურის პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | ამისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის |

| |
|---|
| სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, როგორც არსებული პროგრამების შეფასების, ისე განვითარების მიზნით. უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასების მიზნით. ასევე დანერგილია კოლეგათა მიერ ურთიერთშეფასების სისტემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის გასაუმჯობესებლად პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პირები პერიოდულად ცვლიან სილაბუსებს. პროგრამის შეფასების მიზნით, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ერთად ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შეფასების პროცესში ვლინდება ხარვეზები ან გასაუმჯობესებელი კომპონენტები, რაც პროგრამის განვითარების პროცესზე აისახება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;<br>○ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;<br>○ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები;<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. |

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ეყრდნობა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე შეფასებას, კერძოდ, პროგრამის ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს და პროგრამაში აისახა ექსპერტთა

ყველა რეკომენდაცია სასწავლოს კურსების კრედიტების განაწილებისა თუ შინაარსობრივი კომპონენტების შესახებ. მათ შორის: საკონტაქტო საათების სასწავლო კურსში: „ქართული ლიტერატურა 1“; შეიცვალა საგნების სახელწოდებები და ეწოდა: „ქართული ლიტერატურა 1, ქართული ლიტერატურა 2, ქათული ლიტერატურა 3, ქართული ლიტერატურა 4, ქართული ლიტერატურა 5, ქართული ლიტერატურა 6. სასწავლო კურსი „რუსთველოლოგია“ სავალდებულო საგნებიდან გადატანილ იქნა არჩევით კურსებში; არჩევით საგნებს დაემატა „მწერლობა და ფოლკლორი“; ასევე, სტუდენტთა შეფასების სისტემა შესაბამოსობაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებაში შეტანილ 2016 წლის ცვლილებებთან; შეიცვალა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ეროვნული გამოცდების ფარგლებში სავალდებულო მოთხოვნების სახით განისაზღვრა გამოცდა ისტორიაში.

○

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

**შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, კითხვარების გარდა, ხდება მათთან შეხვედრები, გასაუბრება და პროგრამის გასაუმჯობესებელი კომპონენტების გამოვლენა. შეფასების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მონაწილეობს აგრეთვე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი პირები აქტიურად თანამშრომლობენ დამსაქმებლებთან, ხდება ბაზრის ანალიზი და რეგიონის საჭიროებების გათვალისწინება (ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებზე მზარდი მოთხოვნილება), როგორც სკოლის, ისე სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებთან და ბაზრის

მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო პროგრამების განვითარება და მოდიფიცირება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | ამისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 57

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | ამისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ოობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| ვლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| უდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| ვლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ხვთისო მამისიმედიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ ჩოკორაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სოფიკო შარაბიძე